საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 666/ი

31 07 2019 წ.

ქ. თბილისი

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 30 ივლისის №999/30 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24⁴ მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის დამატების, შეცვლის ან ამოღების მოთხოვნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის მიმართვის ვადების განსაზღვრის, ფორმისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 11 აგვისტოს №498 ბრძანება.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბაღიშვილი

დანართი

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი განსაზღვრავს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის (შემდგომში - კლასიფიკატორი) მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის საფუძვლებს და ადგენს მათი განხორციელებისათვის შესაბამის პროცედურებს.

2. კლასიფიკატორის მართვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ცენტრი).

მუხლი 2. კლასიფიკატორის მართვა და განვითარება

1. კლასიფიკატორის მართვა და განვითარება გულისხმობს კლასიფიკატორის სტრუქტურისა და შინაარსის განვითარებას, რაც ხორციელდება კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში:

ა) სწავლის სფეროს **დამატებით,** რაც გულისხმობს კლასიფიკატორში ახალი სწავლის სფეროს დამატებას;

ბ) სწავლის სფეროს **შეცვლით,** რაც გულისხმობს კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დასახელების ცვლილებას ან/და ერთი სწავლის სფეროს სხვა სწავლის სფეროში გადანაცვლებას ან/და სწავლის სფეროს ჩანაცვლებას ახალი სწავლის სფეროთი;

გ) სწავლის სფეროს **ამოღებით,** რაც გულისხმობს კლასიფიკატორში სწავლის სფეროს გაუქმებას;

დ) სწავლის სფეროების **გაერთიანებით**, რაც გულისხმობს ორი ან მეტი სწავლის სფეროს ერთ სწავლის სფეროდ ჩამოყალიბებას;

ე) სწავლის სფეროს **გაყოფით**, რაც გულისხმობს ერთი სწავლის სფეროს ორ ან მეტ სწავლის სფეროდ ჩამოყალიბებას;

ვ) სწავლის სფეროში **ტექნიკური ხასიათის ცვლილებით**, რაც გულისხმობს სწავლის სფეროს ან/და კვალიფიკაციის ქართულენოვანი ან/და ინგლისურენოვანი ფორმულირების ისეთი ხასიათის ცვლილებას, რომელიც იწვევს სწავლის სფეროს შინაარსის ცვლილებას.

ზ) სწავლის სფეროში **ტექნიკური უზუსტობის გასწორებით**, რაც გულისხმობს სწავლის სფეროს ან/და კვალიფიკაციის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დასახელების შეუსაბამობის, ორთოგრაფიული უზუსტობის ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობის გასწორებას, რაც არ ცვლის სწავლის სფეროს შინაარსს (ტექნიკური უზუსტობა შესაძლებელია გასწორდეს არა მხოლოდ კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში, არამედ ზოგადად კლასიფიკატორში).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს:

ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება/განვითარება/გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან კვალიფიკაციის ამოღება;

ბ) კლასიფიკატორის მონიტორინგის შედეგი;

გ) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCED-F-2013) ან/და

„განათლებისა და ტრენინგის დეტალური სფეროების აღწერის“ (ISCED-FoET-2013) დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილება (რამაც აგრეთვე, შესაძლოა გამოიწვიოს კლასიფიკატორის ფართო და ვიწრო სფეროების ცვლილებაც).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს ცენტრის ან/და დაინტერესებული პირის ინიციატივა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური ხასიათის ცვლილების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი სფეროს კვალიფიციური კადრების ჩართულობით სამუშაო ჯგუფის მოწვევას, რომელიც განიხილავს ცვლილების მიზანშეწონილობას და ცენტრს აძლევს შესაბამის რეკომენდაციას, რომელიც აისახება სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმში. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს თანამშრომელი, შეხვედრის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ოქმს თან ერთვის სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ხელმოწერილი დასწრების ფურცელი.

მუხლი 3. კლასიფიკატორის მონიტორინგი

1. კლასიფიკატორის მონიტორინგი გულისხმობს კლასიფიკატორის მართვისა და განვითარების პროცესის პერიოდულ შემოწმებას, თუ როგორ ხორციელდება განათლების ერთიან სისტემაში ინტეგრირებისთვის კლასიფიკატორის დანერგვა, სწავლის სფეროს/სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემუშავება და განვითარება და კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა.

2. კლასიფიკატორის მონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფს ცენტრი.

3. კლასიფიკატორის მონიტორინგი ხორციელდება ხუთ წელიწადში ერთხელ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მონიტორინგის ჯგუფის მიერ. მონიტორინგის ჯგუფი, ცენტრის დირექტორთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს კლასიფიკატორის მონიტორინგის პროცესის განხორციელებას, ანალიზის დოკუმენტის მომზადებასა და ცენტრის დირექტორისათვის წარდგენას.

მუხლი 4. კლასიფიკატორში ცვლილების შეტანა

ამ წესის საფუძველზე ცენტრი ამზადებს სწავლის სფეროს/სფეროების კლასიფიკატორში განსახორციელებელი ცვლილების პროექტს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.